დადგენილება № 77/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის საქართველოს სამუსიკო ხელოვნების დარგის მოღვაწეთა პროფესიული კავშირის მიერ გამოყოფილი თანხიდან ერთჯერადად დაფარვის შესახებ

დადგენილება № 77/2020
06 ნოემბერი, 2020

დადგენილება № 77/2020 – სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის საქართველოს სამუსიკო ხელოვნების დარგის მოღვაწეთა პროფესიული კავშირის მიერ გამოყოფილი თანხიდან ერთჯერადად დაფარვის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 57-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი ნაწილის „წ“ ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 ნოემბრის № 38 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის სრულად დაფარვისათვის საქართველოს სამუსიკო ხელოვნების დარგის მოღვაწეთა პროფესიულის კავშირის თანხიდან გამოიყოს 4577 (ოთხი ათას ხუთას სამოცდაჩვიდმეტი) ლარი, ხოლო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიუჯეტიდან გამოიყოს 598 (ხუთას ოთხმოცდათვრამეტი) ლარი;
2. დაფინანსება განაწილდეს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანის, თეა ბუაძის ამა წლის 8 ნოემბრის № 637 მოხსენებით ბარათში მითითებულ სტუდენტზე/ებზე;
3. დადგენილება გადაეგზავნოს საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო დეპარტამენტს;
4. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;
5. დადგენილება ძალაში შედის მიღებისთანავე;
6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

ნანა შარიქაძე

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე